პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი არმიელი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ, მასალები მიიღება რედაქციაში 9—3 სათ. ყოველ დღე რედაქც. მისამართი: სახ. სამხ. კ-ს შენ. პირ. ს რთ. რუსთაველის პრ. № 31

ოთხშაბ. 3 იანვარი 1923 წ

წელიწადი მესამე

№ 182 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო. № 182

ქარ. დივიზიის ყველა ნაწილების საკომებს და ბიურო კოლექტივის პასუხის მგებელ მდივნებს

პოლიტგანყოფილება წინადადებას გაძლევთ არა უგვიანეს 7 იანვრისათვის ჩაატაროთ აგიტ-კომპანია: „კომკავშირის შობა“. სახელმძღვანელო თეზისები მოთავსებულია 31 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში“ № 302.

პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე **მარკაროვი.**

აგიტპროპის ნაწილის უფროსი: **ეგიკოვი.**

ამხ. წითელ კომანდირების საყურადღებოთ.

ქართულ შეერთებული სამხედრო სკოლის საკავშირო კომისია გთხოვთ რათა გვაცნობოთ წითელ-არმიელების მდგომარეობა, თუ რა აინტერესებთ მათ და ან რა არის ნაკლი მათი უკმაყოფილოებისა. ამისათვის გთხოვთ ამხანაგ პოლიტხელმძღვანელებს და წითელ კომანდირებს რათა მისცენ ახსნა განმარტება წითელ-არმიელებს, რომ საშვალება ექნეთ გვაცნობონ ყოველივე მათი პირ-ვარამი. რათა ამით ბოლო მოეღოს ყოველგვარ ბოროტ მოქმედებებს წითელ ჯარში. ყველა ასეთი ცნობების მოწოდება შეიძლება როგორც წერილობით აგრეთვე გაზეთის საშვალებით. უმჯობესი იქნება წერილობით.

ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის საკავშირო კომისიის წევრები. 1. ყურაშვილი 2. ჩხიკვიშვილი 3. მანჯგალაძე.

კვლავ ჩვენი სამხკორების შესახებ.

რაღაც მოუხერხებლად მიგვაჩნია კვლავ ჩვენი გაზეთის სამხკორების შესახებ წერა, მაგრამ ინტერესი ჩვენი გაზეთისა, ერთი მხრივ, ხოლო არა თავის სიმაღლეზე დგომა ზოგი ნაწილების სამხკორებისა, მეორე მხრივ, იძულებულს გვხდის კვლავ სამხკორებზე ჩამოვაგდოთ ლაპარაკი და ვსთქვათ ის, რაც სათქმელია. ყველასათვის ნათელია ის, რომ საერთოდ პრესა, ხოლო კერძოთ კი ჩვენი გაზეთი „წითელ-არმიელი“ მხოლოდ და მხოლოდ თავისი სამხკორების დახმარებით სულდგმულობს და ემსახურება თავის დანიშნულებას, ამისთვის იყო, რომ ჩვენ რიგიანათ დაგვეყენებია ფეხზე სამხკორების მუშაობა და ამნაირად გაზეთის ღირსების საქმეც ჩქარი ტემპით წასულიყო წინ. გამოვიმუშავეთ სამხკორთა ქსელის მოსაწყობად ინსტრუქციები, რომელიც უკვე ორი თვეა, რაც გამოქვეყნდა გაზეთში. ვფიქრობდით, რომ ყველა ნაწილები ამ ინსტრუქციების და მიხედვით შეუდგებოდნენ სამხკორთა ორგანიზაციის საქმეს და სიას სამხკორებისას გადმოუგზავნიდნენ რედაქციას, მაგრამ ჩვენი იმედები ამ შემთხვევაში სავსებით ვერ გამართლდა.

რამდენათ ზოგიერთმა ნაწილებმა ამ შემთხვევაში პირნათლად შეასრულეს ჩვენი მოწოდება (1 ლეგიონი მეორე ლეგიონი და სხვა) იმდენათ ზოგიერთმა სრულებით არ მიაქცია ამას ყურადღება, რის გამოც ამ ნაწილებიდან არა გვაქვს არავითარი ცნობა, როგორც სამხკორთა ქსელის მოწყობისა, ისე სამხკორების ვინაობის შესახებ (მესამე ლეგიონი) ეს კი მიუტოვებელია, რადგან ამით გაზეთის წარმოების საქმე ბრკოლდება, რაიც გვაიძულებს ჩვენ ხელახლავ მოუწოდოთ ამ დარჩენილ ნაწილებს, რათა საჩქაროთ დაასრულონ სამხკორთა ორგანიზაციის საქმე და სამხკორთა სია გადმოუგზავნონ რედაქციას გარდა ამისა, რედაქციას ბევრი მოსდის ისეთი წერილები, რომლებსაც არ ამოწმებს პასუხის მგებელი სამხკორები, ასეთი წერილები ინსტრუქციების და მიხედვით გაზეთში გაუშვებელი რჩებიან, რაიც შემდეგში იწვევს ავტორების საყვედურს. ამისთვის შემდეგში რომ კიდევ არ განმეორდეს ასეთი რამ, ჩვენ მოუწოდებთ ყველა სამხკორს, სანამ რედაქციაში წერილს გამოგზავნიდეს, შეამოწმებიოს პასუხისმგებელ სამხკორს, რაიც უეჭველად გავა გაზეთის ფურცელზე. მაშ, ასე ამხანაგო სამხკორებო ისმინეთ კიდევ ეს ჩვენი სიტყვა და იმოქმედეთ ისე, როგორც გიკარნახებსთ თქვენ ჩვენი გაზეთის ღირსების სათანადო დონეზე დაყენება და წარმატება.

დაივიწყეთ წარსული

ჩვენს არმიას, რომელიც დაიბადა მუშათა კლასის მოძრაობის დროს და რამოდენიმე წლობით აწარმოებს ბრძოლას კაპიტალთან, ეწოდება სახელად მუშურ-გლეხური წითელი არმია. ამ სახელწოდებაში ნათლადაა გამოხატული, როგორც მიზანი, ისე მისი შემადგენლობა, მუშურ გლეხური არმია არსებობს მუშების და გლეხების ინტერესების დასაცავად. წითელი არმია დარაჯათ უდგას დიად ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს—არა მარტო იარაღით, არამედ ერთსულოვნებით, და შეგნებით იმ ნათელ მომავლისა, რაიც მისცა რევოლიუციამ მშრომელებს.

ამიტომ ყოველი წევრი წითელი არმიისა ვინც გინდა იყოს ის, გინდ კომანდირი, გინდა პოლიტ-მომუშავე, გინდა უბრალო რიგში მდგომი ჯარის კაცი, უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს ღირსი მუშურ გლეხური წითელ არმიის ოჯახის წევრის სახელწოდებისა, უნდა იყოს მშრომელი, უნდა იყოს ამხანაგი ყველა არმიის წევრობის, უნდა ფრთხილდებოდეს და სდარაჯობდეს დიად ოქტომბრის მონაპოვარს, უნდა ესმოდეს იმ მონაპოვარის მნიშვნელობა და ამის მიხედვით ერთგულად უნდა ასრულებდეს იმ მოვალეობას, რომელიც მიანდო მას მშრომელმა კლასმა.

ძველ დროში ოფიცრები მობრძანდებოდნენ ყაზარმაში „სალდათების“ მეცადინეობის დროს—დასიებულ დაბერილ პირის სახით, მთელი ღამის ქეიფის და უძილობის შემდეგ. და ეს ერთი იმ მიზეზთაგანი იყო, რომლის გამო უნდო თვალით უყურებდნენ თავიანთ ოფიცრებს ჯარის კაცები.

ჯა ის კაცები და ოფიცრები სცხოვრობდნენ ორ შეურიგებელ ლაგერში, რომელიც ყრუთ მტრობდნენ ერთი მეორეს. ჯარის-კაცი ხედავდა ოფიცერში ბატონს, რომელსაც უფლება აქვს, ქეიფისაც, ლოთობის და სხვა და სხვა უწესოების. უფლება აქვს აგრეთვე სულ უმნიშვნელო დანაშაულისათვის ჯარის კაცი დასაჯოს. ეხლა სულ სხვაა. კომანდირები წითელ არმიაში არ გვაგონებენ ძველი წესწყობილების ოფიცრებს, რომელიც ჯარის-კაცებს მაღლიდან დასცქეროდნენ და სამსახურს აბუჩად იგდებდნენ.

ყოველი კომანდირი უნდა იყოს ნამდვილი პატიოსანი მუშა და ერთგულად უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას, მისი უნცროს ამხანაგების ალერსში—ყოველი კომანდირი, რომელიც თხოულობს წით. არმიელებისაგან სამსახურის და დისციპლინის შესრულებას, უპირველეს ყოვლისა თვითონ უნდა ასრულებდეს მას და უნდა იყოს თვითონ მაგალითი ყოველ სამსახურის ასრულებაში.

სამწუხაროთ ეს სავსებით ასე ჯერ კიდევ არ არის. მაგალითად ზოგიერთები უფროსმადგენლობიდან ცხენიან ლეგიონში გულ გრილათ ეკიდებიან მოვალეობის ასრულებას მაშინ, როცა წითელ არმიელნი „სიგნალზე“ დილაობით სამეცადინოთ გამოდიან, რამდენი ჩვენი ლეგიონის უფროსთა შემადგენლობა ხლოვნით, როგორც ბატონნი მობრძანდებიან როცა მათ მოესურვებათ და თავიანთ პირადი საქმე ნებას მისცემთ. მოვლენ და ვაითომც „ჩვენც ვხნავდით“, გაივლ გამოვლიან და ისევ ბატონივით წაბრძანდებიან .....

წითელ არმიაში ამისთანა ვაებ ტონებს ადგილი არ აქვს. საჭიროა მათ დაივიწყონ წარსული; ნუ იგონებენ და ნუ ბაძავენ ძველ ოფიცრების მაგალითს თქვენს წინაშე არიან წით. კომანდირები, წითელი არმიელები—აიღეთ მაგალითი იმათგან და მოსპეთ ძველი ჩვეულება, თორემ მუშურ-გლეხური მთავრობა გულ მოწყალეა, მაგრამ მკაცრი და ულმობელია თუ ვინმემ მუშის და გლეხის ინტერესებს შელახვა დაუპირა.

წითელ ყაზარმაში მცხოვრები.



—30 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დელეგატების კრება. კრებას დაესწრო 1217 დელეგატი რ.ს.ფ.ს.რ. 345 უკრაინიდან, 73 ამიერკავკასიის ფედერაციიდან და 23 ბელორუსიიდან.

—ლოძში მუშების მიერ ახალი მოთხოვნილებების წაყენების გამო მოხდა კონფერენცია მწარმოებლებისა და პროფკავშირთა წარმომადგენლებისა.

—ვარშავაში დეპოს მუშებმა მოითხოვეს შრომის ხელფასის გადიდება 70 პროც და მოთხოვნილების მხარის დაჭერის მიზნით, გაიფიცნენ ერთი საათით.

—ლოზანაში მდგომარეობა კრიტიკულია.

—ინგლისის სამხედრო გემები ჯგუფდებიან სტამბოლის ახლოს.

—ოსმალეთი და საბერძნეთი სამხედრო მოქმედებისათვის ემზადებიან.

—კერზონმა ლოზანის კონფერენციაზე განაცხადა, რომ თუ ოსმალები კვლავ განაგრძობენ შეურიგებელ პოზიციაზე დგომას, მოლაპარაკებას არავითარი შედეგი აღარ ექნება.

—ამერიკის წარმომადგენელმა ჩაილდმა განაცხადა ლოზანის კონფერენციაზე, რომ ის უერთდება მოკავშირეების შეხედულებას.

საბჭოთა მეათე ყრილობა.

სამანდატო კომისიის მოხსენება.

— სამანდატო კომისიამ წარმოადგინა თავისი მოხსენება, საიდანაც სჩანს, რომ ყრილობას გადამწყვეტი ხმით ესწრება 1217 დელეგატი და სათათბირო ხმით 510 დელეგატი დელეგატებში 80 ქალია.

ლატვიის წარმომადგენლის განცხადება.

— რუსეთში ჩამოსულ 97 ლატვიის კომუნისტების სახელით კრიტელი აკეთებს შემდეგ განცხადებას: „ჩვენ წარმოვადგენთ მცირე ჯგუფს, რომელმაც შესძლო თავი გადაერჩინა ლატვიის ციხეებისაგან, სადაც მოთავსებულია აუარებელი მუშა და გლეხი. თეთრი ლატვია შექმნა ყველაზე უსასტიკეს კონტრ-რევოლიუციის სიმაგრედ. იგი სპობს კომუნისტურ პარტიის საუკეთესო წევრებს. ჩვენ მადლობას ვუხდით საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც მძლავრი ხელით გაგვანთავისუფლა ლატვიის ციხეებიდან. ჩვენ მზად ვართ ჩვენი ძალ ღონე შევსწიროთ საბჭოთა რუსეთს.

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა

— ამხ. კალინინი საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს რომ მეათე ყრილობამ გადასწყვიტა რა საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან სახელმწიფოში გაერთიანების საკითხი, შეასრულა თავისი ისტორიული როლი. „ჩვენთვის ძვირფასია, სთქვა ამხ. კალინინმა, წითელი დროშა ... უთი წმინდა ასოებით რ. ს. ფ. ს. რ. რომელიც მოპოვებულია მუშების და გლეხების სისხლით უმაგალითო ბრძოლაში. მაგრამ ჩვენ ვხრით წითელ დროშას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინაშე. ეს დროშა ხელთ აქვს ამხ. ლენინს. წინ, მაღლა ასწიეთ თქვენი დროშა რათა მთელი ქვეყნის ჩაგრულთ და დამონავებულთ შეეძლოთ მისი დანახვა“.

რეზოლიუციები.

— 27 დეკემბერს საღამოს სხდომაზე ამხ. სტალინის წინადადებით, საბჭოთა ყრილობამ ერთხმად უკამათოდ მიიღო რეზოლიუცია სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დაარსების შესახებ.

წაკითხულ და ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუციები ამხ. ბოგდანოვის, ლუნაჩარსკის, მესიაცევის და სოკოლნიკოვის მოხსენებების გამო.

რეზოლიუციაში ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენების გამო ნათქვამია: „განათლების ფრონტზე უკან დახევა შეჩერებულ უნდა იქნეს. ყველა ადმასკომებმა უნდა მიიღოს საჭირო ზომები სახალხო განათლებისათვის საჭირო მაქსიმალური დახმარების გასაწევად. სახალხო კომისართა საბჭოს ევალება გამოიმუშაოს სათანადო საშუალება საჭირო სახელმწიფოებრივ ბიუჯეტში, შრომის სახალხო კომისარიატთან წილის გადიდებისათვის“. რეზოლიუცია ხაზს უსვამს განათლების მუშაკთა მდგომარეობის მატერიალურად გაუმჯობესების აუცილებლობას.

რეზოლიუცია ამხ. ბოგდანოვის მოხსენების გამო, აუცილებლად

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის „წითელ არმიელის“ № 179-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, სამოსწავლო ძირითად ათასეულის ცხოვრებიდან, სადამო წარმოდგენის სათაურით:

„ამავე დროს უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ სცენის მოყვარეთა წრეში იმყოფებიან ისეთი პირები რომელთაც, წარსული უმტკიცებთ არა კეთილ მოღვაწეობას და სხვა“. —

ნამ ვილად კი, ეს ათასეულის სცენის მოყვარეებისადმი მიწერილი არა კეთილ საიმედობა და კონტრევოლიუციონერობა, ეკუთვნის თვით პიესა „ყაჟაღალდის“ შინაარს მის გმირებს და არა სცენის მოყვარეებს რისთვისაც რედაქცია ბოდიშს იხდის აღნიშნულ სცენის მოყვარეები წინაშე, შეცდომით ცილის წამების მიყენებისათვის.

რედაქცია.

სთვლის. სათანადო ზომების მიღებას სახელმწიფოებრივ მრეწველობის განვითარებისათვის და მისი რესურსების უზრუნველყოფისათვის. საჭიროა ფართე ზომების მიღება ბამბის, სელის და თამბაქოს კულტურის ასაღორძინებლად და საქონლის მოშენების განვითარებისათვის საჭიროა ზომების მიღება ჩვენი ტრანსპორტის გამოცოცხლების სფეროში.

რეზოლიუცია, ამხ. მესხიაცევის მოხსენების გამო მოუწოდებს საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოებს მიწის კოდექსის ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარებისაკენ. აუცილებლად სთვლის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციისათვის დახმარების გაწევას, გლეხებისათვის ფართე დახმარებას მუშა საქონლის, სათესლე მასალის და ინვენტარის მუშების საქმეში, სახელმწიფო და კოოპერატიული კრედიტების ორგანიზაციის გზით, მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს ევალება მიიღოს აუცილებელი ზომები საქონლის ჯიშის გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე მიიღოს მთელი რიგი ღონისძიებათა დამშეულ გუბერნიებში სასოფლო მეურნეობის მთელი სისტ. შესაცვლ.

რეზოლიუციაში ამხ. სოკოლნიკოვის მოხსენების გამო, აღნიშნულია რომ მთავრობის ფინანსიური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა რესურსების წესიერი და მიზანშეწონილი განაწილება სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტრანსპორტის შორის. ყრილობა იწონებს ფინანსთა სახ. კომისარიატის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ბიუჯეტის მაქსიმალურ წონასწორობისაკენ. ბიუჯეტში უნდა შევიდეს მხოლოდ ისეთი ხარჯები, რომელთა დაფარვა სხვა წესით შეუძლებელია. ადგილობრივი ხარჯები უნდა დაფარულ იქნეს ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე. რეზოლიუცია ხაზს უსვამს პირდაპირი გადასახადების გაძლიერების აუცილებლობას ქონების და შემოსავლის კვალობითი გადასახადების სახით მიმდინარე წლის მორიგი ამოცანაა მსხვილი მრეწველობის უმთავრესი დარგების ფინანსიურად უზრუნველყოფა, სასოფლო მეურნეობის კრედიტით ორგანიზაცია, კოოპერაციისათვის დახმარების გაწევა. საჭიროა მივახწიოთ სამუშაო ხელფასის რეალურ დონემდე.

იმას, რომ ყველას რევიზია გაუკეთეს და დაითხოვეს მნეები. პასუხგებაში მისცენ დამნაშავენი და ასე მოაწესრიგეს სამნეო ნაწილი, ეხლა ყველგან არის ახალი მნეები და მათი გი ება ჯერ არ გვინახავს.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ მალე ამავე გაზეთის საშვალებით გავიგებთ მათ ენერგიულ მუშაობას ლეგიონისათვის, მაგალითად ჩვენ ცხენ. ლეგიონის მნემ ამხ. მდივანმა ლეგიონს დაანახვა მისი ენერგიული მუშაობა, რომელიც გამოიხატება მისი დაუღალავ მუშაობაში ლეგიონისათვის საჭიროა ასეთი ენერგიით იმუშაონ დანარჩენებმაც.

ქარხნიშვილი.

მოხსენება კომინტერნის მეოთხე კონგრესზე.

1922 წლის დეკემბრის 28 საღამოს 6 საათისათვის სათეატრო დარბაზი სავსე იყო წითელ-არმიელებით. მოხსენება: „კომინტერნის მე 4 კონგრესზე გააკეთა ამხ. შამშე ლექავამ. იხდება ფარდა: სცენა მორთულია ჩვენი ბელადების სურათებით და წითელი დროშებით. მომხსენებელი ვრცლად შეეხო თემას და თუმცა მოხსენება გაგრძელდა 2 საათს, მაინც წითელ არმიელნი უსმენდნენ ყურადღებით.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „თბილისის გარნიზონის ქართულ ნაწილების საერთო კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. შ. ლექავასი ალტაცებულია იმ გეგმით, რომელიც მე 4 კონგრესზე შემუშავდა. ის ფაქტი, რომ კონგრესზე წარმოდგენილ იქმნენ ყველა ქვეყნების მშრომელთა კლასის ბელადნი კომუნისტების სახით, ერთხელ კიდევ ნათლად ამტკიცებს თუ რა უტყუარია კომუნიზმის ცნება მუშათა კლასის გასამარჯვებლად კრება გამოსთქვამს იმედს, რომ ამიერიდან მშრომელი კლასის განთავისუფლების საკითხი დამყარებულია მტკიცე ნიადაგზე და შორს არ არის ის დრო, როდესაც მშრომელნი დაამხობენ კაპიტალს და მის ნანგრევებზე შექმნის ახალ ქვეყანას“.

საღამო დასრულდა ინტერნაციონალით.

შ. ხუციშვილი.

ძვლების ძახილი.

ჩვენ გვესმის ხშირად ჩვენდა პასუხად
ტანჯულ-წამებულ ძვლების ძახილი,
რომელთ სახეებს წამების ჯვარზე
მტრებმა დაასვეს ბასრი მახვილი.
და ჩვენც ჩავძახით საყვირის ხმითა:
„ღსდექით ძმანო! კმარა აწ ძილი
„წამოიშალეთ ცივ საფლავთაგან,
„ჩამოიცალეთ შავი ნაპირი!..
„შეისხით ხორცი და შეისრულეთ
„დღეს ჩვენთან ერთად გულის წადილი,
„ნაცადი. მკლავით შემოგვიერთდით
„გვიცანით!... ჩვენა ვართ: შრომისა
შვილნი!...

ვ. ბესოშვილი.

ჩვენს წითელ ჯარში

როგორ შეცდა?

ეს თვე ნახევარია რაც, რომ გაზ „წითელ-არმიელში“ არ არის საყვედური და ლანძღვა საჭნეო ნაწილის უფროსებზე, ზაფხულში კი ვერ ნახავდით ერთ ნომერს, რომ არ ყოფილიყო უკანასკნელების ბოროტმოქმედობაზე წერილი, ამავე გაზეთის საშვალებით მივაღწიეთ ჩვენ

ცარიელ ბოჭკაში

(წერილ „რაშია საქმეს“ გამო)

„წითელ არმიელის“ № 175 ამშვენებს „ღრმა“ ნარკვევი მეორე ლეგიონის ცხოვრებიდან სათაურით „რაშია საქმე“.

დასაწყისი წერილის ორიგინალურია მით, რომ დახასიათებას არ აკლებს მთავარ გმირს...

„მას (ე. ი. მებუკეს) ყველა დივიზიაში, როგორც კომბინატორს.... მისი დაჭერა კომბინაციაში ძნელია ვინაიდან მას 12 წლის პრაქტიკა აქვს და სხვა!!! (კურსივი ჩემია ბ.) ეს ცნობები ძლიერ კარგია, ისტორიის ფურცლების შესავსებად დაგვჭირდება, მაგრამ რათ თვით იმ „ყოფილ სამკომს“ არ შერცხვება (ამ შემთხვევაში „ყარაჩოღელს“), როდესაც კომისიამ ამხ. ხუციშვილის მეთაურობით აღმოაჩინა სამასი ცალი ულუფის ყოველ თვიურად (?) მითვისება მებუკის და მის პარტიის მიერ?!.

ყოფილი სამკომი რომელ ტბაზე და ვის ბატებს სდარაჯობდა?!

ან და თუ ადრე იცოდა რათ გადასვლამდე არ დაატუსაღა მებუკე, (როგორც რჩევას აძლევს ახალ სამკომს ამხ. ბუაჩიძეს) და მისი „პარტია“ (ჩაჩუას სახით)?

ვინ დალუქა მაისის შემდეგ უწარმოებელი ანგარიშების მთელი კიპა ქაღალდები?

ყოფილმა სამკომმა ლუქი რომ აიღო და დანიშნა კომისია რა საქმეები უნდა გაეხილით მათ? ის რომელიც ლუქ ქვეშ იყო, თუ რომელიც თავისუფლად იდო ყუთებში?

მანვე (კომისიამ) დ ლუქული სარევიზიო საქმე რათ გადასცა თვით მოქ. ჩაჩუას რევიზიამდე?

ვისი წყალობით იქმნა აღმოჩენილი ყოველდღიურ სამას ულუფას გამოწერა (თუმცა უმნიშვნელო)?

რათ დაიწყო „ყოფილ სამკომის“ მიერ დანიშნულ რევიზიამ საქმეების ჩხრეკა იანვრიდან, როდესაც ცხვირის წინ სარევიზიო საქმეები ეწყო?

ამას გარკვევა სჭირია ამხ. „ყარაჩოღელო“ და პასუხსაც გაზეთის საშვალებით ველი, მაგრამ უფრო მაინტერესებს თქვენი წერილის მეორე ნახევარი, სადაც ლეგსამკომი და ლეგთავი ბოროტმოქმედების დამცველათ და დამმალავად გამოგყავთ!

როგორც წერილის პირველ ნახევარში პასუხსაგებ „ყალბ ცნობებს“ ათავსებთ პირადათ თქვენი პასუხისმგებლობის ქვეშ, უფრო საპასუხის მგებლოა ბრალდება ბოროტმოქმედებათა დაფარვის ისეთ ამხანაგებზე როგორც სამკომი თუ ლეგთავია.

ამას სჭირია დამტკიცება და თუ არ დამტკიცდა სჭირია ადამიანური პასუხისმგებლობაც...

რაც შეეხება თვით მებუკის ისევ ლეგიონში დატოვების შუამდგომლობას, უნდა გაეცნოთ რომ, როგორც ენერგიული და და დაუღალავი მუშაკი სამწყობრო ნაწილში, სამკომმა და ლეგთავმა საჭიროთ სცნეს მისი დამტკიცება, რის შესახებაც აღიძრა შუამდგომლობა!

რაც შეეხება წერილს „რაშია საქმე“ ის არის აგებული არარაობაზე უნდა განვაცხადო თქვენდა საყურადღებოდ, რომ უფრო კომპეტენტიურ რევიზიების დასკვნით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კავ. ცალკე ლაშქრის სამხ. რევ. საბჭოს მიერ დანიშნულ რევიზიის შედეგს, რადგან თვით მან არ იცოდა რას აკეთებდა და რას უშვებოდა რევიზიას, ამხ. შაკუნის პირადათ გაკეთებულ რევიზიის შედეგი: ლეგიონში ბოროტმოქმედებას იმ თვალსაზრისით, როგორც მას „ყარაჩოღელი“ ფიქრობდა ადგილი არა ქონია და იმ გამონაწერ სამას ულუფასაც ყოველდღიურათ (და არა ყოველთვიურად) მარტო გამოწერის ხასიათი ჰქონდა და შემოსავალში რჩებოდა, რის საკმაო საბუთები თვით ამ წერილის ავტორსაც და ამხ. შაკუნსაც ხელში აქვსთ.

მხოლოდ გაბრთხილებთ ამხ. ყარაჩოღელო! როდესაც წერილებს სწერთ უნდა იცოდეთ, რაზედ სწერთ უნდა იცოდეთ. არ კმარა მარტო სხვის მონათხრობზე დაყრდნობა, თორემ მოგიხდებათ „ცარიელ ბოჭკასავით“ ქუჩა-ქუჩა ყვირილი და შედეგათ პასუხისმგებლობაც, როგორც მაგალითად ამ შემთხვევაში ცილის დაწამება ლეგსამკომზე და ლეგთავზე, რასაც ამ შემთხვევაში ნიღაბ ახდილი უარყოფა და ბოდიში უნდა (არა მეტი...)

ბელაგორსკი.

უენო მეგობრების წერილები ქართველ წითელ არმიელებისადმი

წერილი 2 ე. *)

(გაგრძელება)

პირველ წერილიდან და ამ წერილის პირველ ნახევრიდან, მე მგონია, თქვენ უკვე კარგათ გაიგეთ, ამხანაგო წითელ არმიელებო, ის ჭეშმარიტება, თუ რა მნიშვნელობა ჰქონია, როგორც მშრომელი ხალხისათვის სოფლად ისე წითელი ლაშქრისათვის, ჩვენს უენო მეგობრებს, ჩვენს ცხენებს.

ეხლა—კი, ამ წერილის მეორე ნახევარში, საჭიროა ვისაუბროთ ჩვენ იმ მოვლა ზრუნვაზე, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი სამხედრო ცხენების ჯანმრთელობისათვის, მათი დიდი ხნის სიცოცხლისათვის, შრომის ატანისათვის და სიკვდილისა და ყოველგვარ ავათმყოფობისაგან გადარჩენისათვის, რადგანაც ცხენები ისეთსავე მოვლას საჭიროებენ, როგორც წითელ არმიელები და მათ არ შეუძლიათ თავის თავს თითონვე მოუარონ, ამიტომ ვალდებულნი ვართ ჩვენ, წითელ არმიელები, ეს მათი მოვლა ჩვენს თავზე ვიდვათ და კეთილ-სინდის ერათაც შევასრულოთ იგი.

პირველ ყოვლისა, წითელ არმიელს უზომოთ უნდა უყვარდეს მისდამი მოსავლელათ ჩაბარებული სამხედრო ცხენი და იგი ისე უნდა უყურებდეს ამ ცხენს, როგორც თავის საკუთარს, ერთგულს და ჭირსა და ლხინში განუყრელ მეგობარამხანაგს. თუ ასეთ სულიერ განწყობილებას ადგილი არ ექნება უენო, ე. ი. ცხენსა, და ენამეტყველ წითელ არმიელთა შორის, იმ შემთხვევაში ვერც ჩვენი ცხენები იქნებიან კარგად მოვლილი და ვერც ჩვენი წითელი ლაშქარი მიიღებს ამ მოუვლელ, დაჩაჩანაკებულ და დამუნიახებულ ცხენებისაგან იმას, რაც უნდა მიიღოს მან მოვლილ და ღონიერ ცხენების დაუღალავი და ნაყოფიერი შრომისაგან.

ცხენებისადმი სიყვარულს ყოველი ღირსეული წითელ-არმიელი უნდა გამოხატავდეს იმაში, რომ, ჩააბარებენ თუ არა მას ცხენს, იგი უნდა ყოველთვის ამ ცხენზე ზრუნავდეს და ცდილობდეს ახლად შეძენილი მისი უენო მეგობარი ნაზი, მუდმივი და გაბედული მოფერებით გადააჩვიოს იმ უცხოობას, ე. ი. მისდამი იმ ერთგვარ შიშსა და უნდობლობას, რომლებსაც ხშირად იჩენენ ჩვენი ცხენები ახალი მომვლელის ხელში გადასვლის გამო. წითელ არმიელმა მხოლოდ მოფერებით, კარგათ მოქცევით და სიყვარულით უნდა მოიპოვოს ცხენის ნდობა და სიყვარულივე. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეუძლია წითელ არმიელს, თუ იგი უხეშათ არ ეპყრობა თავის ცხენს და ყოველთვის იმ მხრიდან მივა მასთან, საითაც იგი იყურება: წინ და წინ ხმას გასცემს მას, გადაუსობს ხელს იმ ადგილებზე (კისერზე, გავაზე, ზურგზე), რომელ ადგილებზედაც ხელის გადასობა საზოგადოთ ცხენებს ძალიან უყვართ. დღეში ორჯერ-სამჯერ მაინც გასწმენდავს მას და არასოდეს თავის დროზე უწყლოუსაკვებოთ არ დასტოვებს. თუ ცხენი ძალიან უცხოობს წითელ არმიელის მასთანმისვლას, იმ შემთხვევაში უკანასკნელმა მოფერებით, პურის ნატეხის, შვრიის და სხვა რამე ამისთანების მიცემით უნდა გადააჩვიოს იგი ამ არა სასურველ ზნეს და არასოდეს არ უნდა დაუწყოს მას ცემა ყვირილი და გინება. სასტიკი და ავი ცხენის არასოდეს არ უნდა ეშინოდეს წითელ-არმიელს, არასოდეს ეს თავის შიში არ უნდა აგრძნობინოს მას და არ უნდა გაიქცეს მისგან, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ცხენი ჯიბმულია, შესამჩნევლად ყურებსა სწურავს და ვითომც წიხლის საკრავად ემზადება. თუ ცხენი იმაში დარწმუნდა, რომ მის მომვლელ წითელ-არმიელს მისი ეშინია, ამ უკანასკნელს საცქინლად აიგდებს იგი და არა სასურველ ზნე-ჩვეულებებს გადაეჩვევა კი—არა, ყოველთვის უფრო და უფრო იმას ეცდება ეს თვისებები გამოიჩინოს.

*) იხ. №№ 164, 165, 172.

მილოცვები

ბევრი დამრჩა მისალოცი
(არ მეყო მე ცხვირსახოცი)
მარა გავასწორებ ეხლა,
რადგანაც მსურს მათთან შეხლა.

მინდა იმათ მიულოცო,
ვინც ჩვენს გაზეთს ფული სწირა,
და სიამით გადუკოცნო
ბაგე ტკბილი ძმური, ხშირად.

შემდეგ ეგიკოვი სერგო
და მამულაშვილი აქაც,
რომლებთან ძმობა მე მერგო
და მსურს მიულოცო მათაც.

ცენტ. წით. კლუბებს რა უსურვო?
მეტი ფხა და გაქანება;
და ელიოზს არ დაუვა.
ამ საქმის არ დახანება.

და შეებულეაში წასულ
ჩვენს გმირ წითელ არმიელებს
უსურვებ არ იყონ ასულ
მშრომელთ საქმის. რაც იელვებს—

როს დადგება გადამწყვეტი
დრო ძველ ქვეყნის აფეთქების
საჭიროა მსხვერპლი მეტი
ამ საქმეზე გადაგების.

და ახალ გამოწვეულებს
ეთხოვ აიღონ დროშა ხელში.
და მტრებს მყოფთ აწ ბნელ ხვეულებს
დასახრჩობათ წასწვდით ყელში.

დაშნა.

ტირაჟი 1.500

პასუხისმგებილი რედაქტორი პ. ქუთათელაძე